საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაჩნაძე გიორგი იურის ძე

ვაჩნაძე გიორგი იურის ძე (დ. 13. VII. 1967, თბილისი), პიანისტი. პიანისტთა არაერთი საერთაშ. კონკურსის (ჯინა ბახაუერის სახ., 1994; ცინცინატის, 1997; პალმ-ბიჩის, 1998) ლაურეატი. თბილ. ცენტრ. სამუსიკო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1986, სწავლა განაგრძო ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორიაში (ვ. შიუკაშვილის კლასი). 1990 (მეოთხე კურსიდან) სასწავლებლად გადავიდა აშშ-ში, ნიუ-იორკის მენეს-კოლეჯში. 1999 შედგა ვ-ის საკონცერტო დებიუტი ნიუ-იორკის ლინკოლნ-ცენტრის „ალის-ტული-ჰოლში". ამ დროიდან ეწევა წარმატებულ საკონცერტო მოღვაწეობას (აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ფინეთი და სხვ.). 2010-იდან არის ჩიკაგოს უნ-ტის პროფესორი, კათედრის გამგე.